პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 80 (5110)

1974 წ. 25 აპრილი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**დღეს მოსკოვში იხსნება საკავშირო ალკკ XVII ყრილობა. წარმატებით მუშაობას ვუსურვებთ ყრილობის დელეგატებს — საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებს!**



ჯ. იაშვილის ნახატი.





## სამშობლოს საკეთილდღეოდ

ლენინური შაბათობების გამართვა ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, კარგ ტრადიციად დამკვიდრდა. ამ ღონისძიებაში ყოველწლიურად ასეულ ათასობით ადამიანი მონაწილეობს და ერთი დღის უსასყიდლო შრომით სამშობლოს მილიონობით მანეთის პროდუქციას აძლევს.

წლევანდელი შაბათობა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მიმდინარეობდა იმის მაღალი შეგნებით, რომ ყველას თავისი წვლილი უნდა შეეტანა ხუთწლედის მეოთხე — განმსაზღვრელი წლის დავალებათა განხორციელებისთვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. ლენინური შაბათობა ყველგან კომუნისტური შრომის ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცა.

მარტო ერთი დღის მანძილზე თბილისის მშრომელებმა 5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, დედაქალაქის ტერიტორიაზე დარგეს 50 ათას ძირზე მეტი ხე და ბუჩქი. ასევე სახელოვნად იშრომეს ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, სხვა ქალაქებისა და რაიონების მშრომელებმა. ბათუმში, მაგალითად, 400 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, სოხუმში შაბათობის მონაწილე 188 ათასმა კაცმა 720 ათასი მანეთის პროდუქცია შექმნა...

საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში მშრომელებმა დიდი ორგანიზებულობა გამოავლინეს, იმუშავეს დაზოგილი ნედლეულით, მასალებით, ელექტროენერგიით, სათბობით.

შაბათობაში თავი არც რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის წარმომადგენლებს შეურცხვენიათ. მუშა-მოსამსახურე, კოლმეურნე და სტუდენტი ახალგაზრდები, ფიზკულტურელები და სპორტსმენები დილიდან საღამომდე დაუღალავად შრომობდნენ ჩარხებთან, დაზგებთან, საკოლმეურნეო მინდვრებში, აგრეთვე, ქუჩებისა და გაზონების, სპორტული ბაზების კეთილმოსაწყობად.

**ც. ფცქიალაძე.**

• • •

**სურათებზე:** ზევით — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები კუს ტბის ტერიტორიის დასუფთავების დროს; ქვევით — თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი შაბათობაზე.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

## ორი რეკორდი და... წაგება

პოტსდამის 50-მეტრიან აუზში სამ დღეს გაგრძელდა გდრ-ისა და სსრ კავშირის მოზარდთა გუნდების მორიგი მატჩი ცურვაში. წინა ოთხი მატჩიდან სამში საბჭოთა სპორტსმენებმა იმარჯვეს. ამჯერად მასპინძლებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს — 185:159.

გდრ-ის მოცურავეებმა ამ წარმატებას გოგონათა კოლექტივის ხარჯზე მიაღწიეს: მასპინძლებმა მხოლოდ 100 მეტრზე ბრასით ცურვაში წააგეს მ. იურჩენიასთან — 1.17,68. ე. შოტი მეტოქეს 0,21 წამით ჩამორჩა. დანარჩენ სახეობებში შეჯიბრებები გდრ-ის გოგონათა აშკარა უპირატესობით ჩატარდა. საბოლოოდ მათ იმარჯვეს კიდეც — 112:52.

სამაგიეროდ, სსრ კავშირის ჭაბუკებმა თავი არც პოტსდამში შეირცხვინეს და მეტოქეს იოლად სძლიეს (107:73), მაგრამ ეს საბოლოო გამარჯვებისთვის უკმარი აღმოჩნდა.

ამ ასპარეზობაში სსრ კავშირის მოზარდთა ორი რეკორდი დამყარდა: პირველ დღეს — 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ჭაბუკთა ესტაფეტაში (3.40,54), მეორედ კი ტურნირის მიწურულს, როცა ისევ ჭაბუკებმა 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში 4.04,48 აჩვენეს.

## ყველაზე ხალხმრავალი სტარტები

ფრუნზე, 21 აპრილი. ყირგიზეთის დედაქალაქში გაიმართა „პრავდის" XIII საკავშირო კროსის ფინალური ასპარეზობა. წლევანდელი ფინალი ყველაზე მასობრივია ამ პოპულარული შეჯიბრების ისტორიაში, რომელმაც საბჭოთა მძლეოსნობას ბევრი ნიჭიერი მორბენალი მისცა: ფრუნზეში ასპარეზოდ თავი მოიყარა 170 ქალაქის 1500-მდე სპორტსმენმა.

შეჯიბრება გახსნეს 16-17 წლის ქალიშვილებმა და 17-18 წლის ჭაბუკებმა, რომლებიც პირველად იღებდნენ სტარტს. 1000 მეტრზე მოასპარეზე ქალიშვილებში ყველას აჯობა 16 წლის ფრუნზელმა მოსწავლემ მ. კულჩუნოვამ — 2.53,1, კიეველი კ. ლებედევი პირველი იყო ჭაბუკებს შორის 3-კილომეტრიან დისტანციაზე — 8.50,0.

მაგრამ, რასაკვირველია, ყურადღების ცენტრში იყვნენ „რბენის დიდოსტატები": ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 8, ქალები — 2 კილომეტრზე.

ვაჟთა გარბენში 200-ზე მეტმა სტაიერმა აიღო სტარტი (მათ შორის იყო ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი კროსმენი). ფინიშზე მოულოდნელი ბიძგით გამარჯვება მოიპოვა ალმაათელმა ა. ბადრანკოვმა — 24.53,4. პრიზიორთა სამეულში მოხვდნენ, აგრეთვე, ფრუნზელი ს. ჯუმანაზაროვი და სმოლენსკელი ი. პარლუი. ქალთა შორის ყველას აჯობა კიეველმა თ. პანჩელოვამ — 6.16,2.

შეიძლება ითქვას, რომ მორბენლებს ამ მზიან კვირა დღეს ყველაზე დიდ დაბრკოლებას უქმნიდა სიცხე (28 გრადუსი), რომელიც ყირგიზეთისთვისაც კი უჩვეულო იყო წლის ამ დროს. შეჯიბრება შესანიშნავად იყო ორგანიზებული. კროსის წინ ფრუნზეში სეტყვაც მოვიდა, მაგრამ სპორტსმენებს ვერც ამან შეუშალა ხელი. ენთუზიასტებმა — ყირგიზეთის დედაქალაქის სტუდენტებმა კროსის ტრასას რამდენიმე საათში დაუბრუნეს „სპორტული ფორმა".

გუნდური პირველობა მეთორმეტედ მოიპოვეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა. შემდეგ ადგილებზე არიან მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ყაზახეთისა და ლიტვის გუნდები. მეორე ჯგუფში ყველას აჯობეს ყირგიზეთის მორბენლებმა. შემდეგ მოდიან მოლდავეთის, ტაჯიკეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის წარმომადგენლები.

**საჯელი მოგვითხრობს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# გადაულახავი დაბრკოლებები

## საქართველოს პირადი პირველობა ცხენოსნობაში

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა, როგორც იტყვიან, ცხრა მთას იქით აღარაა. ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს, რომ სპარტაკიადის პროგრამაში შემავალ სახეობებში გამართული შეჯიბრებები, მით უმეტეს, თუ ისინი რესპუბლიკური რანგისაა, ამ დიდი ფორუმისთვის ჩვენი სპორტსმენების მზადყოფნის მიხედვით შევაფასოთ. ამას წინათ დაბრკოლებათა გადალახვაში ფოთში ჩატარებული ცხენოსანთა საქართველოს პირადი პირველობა კი სწორედ ასეთი ღონისძიება იყო და ამაზე ღირს სერიოზული საუბარი.

ბევრი ითქვა და დაიწერა რესპუბლიკაში სპორტული ცხენების უკმარობაზე. ეს პრობლემა არც ახლაა მოხსნილი დღის წესრიგიდან, თუმცა მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორდა და, თუ ამას მუყაითი, სისტემატური შრომით განვამტკიცებთ, საწადელს რამდენადმე მაინც მივაღწევთ.

თანამედროვე სპორტში ყველაფერს მაღალკვალიფიციური კადრები წყვეტენ, ჩვენი რესპუბლიკის რაიონების საცხენოსნო კლუბებში კი ასეთ კადრებს იშვიათად თუ შეხვდებით. სრულიადაც არ გვინდა ჩრდილი მივაყენოთ ღვაწლმოსილ ადამიანებს, რომლებმაც მრავალი ათეული წელი შესწირეს ცხენოსნობას, მაგრამ პრაქტიკული მწვრთნელების საქმიანობა არაა განმტკიცებული საჭირო თეორიული და მეცნიერული ცოდნით, წვრთნის პროგრესული მეთოდებით. ჩვენში რატომღაც დავიწყებას მიეცა ცხენოსნობაში მომუშავე მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება, არ ეწყობა სემინარები, არ ზრუნავენ საკუთარი კადრების მომზადებისთვის, საამისო შესაძლებლობა კი შეიძლება შეიქმნას თუნდაც ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე. რესპუბლიკაში მომუშავე სპეციალისტებს არ გააჩნიათ სპორტსმენთა მომზადების ერთიანი გეგმა, რომელიც მწვრთნელთა საქმიანობის კონტროლის საშუალებასაც შექმნიდა.

მწვრთნელთა ამ ჩამორჩენას დაკვირვებული თვალი თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეამჩნევს. ფოთში გამართულ შეჯიბრებაში, მაგალითად, მხედართათვის „სამონადირო პარკურის" მარშრუტის არჩევაში აშკარად გამოჩნდა მწვრთნელთა ცოდნის სილარიბე. სპორტსმენები ერთი-ორი საათით ადრე გამოდიოდნენ მოთელვაზე, ძალების დაუზოგავად აიძულებდნენ ცხენებს რამდენიმე ათეული ნახტომის შესრულებას. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს წვრთნასა და მოთელვას შორის განსხვავებას მწვრთნელები ვერ ხედავდნენ. ამიტომ იყო, რომ ცხენიცა და მხედარიც ზოგჯერ ილაჯგაწყვეტილი, ქანცგამოლეული გამოდიოდნენ სტარტზე.

სარბიელზე დანგრეული წინაღობების აღდგენას უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე თვით ასპარეზობას.

ნათქვამია, კარგი ბედაური მათრახს არ დაირტყამსო, ცხენოსნები კი ამბობენ, კარგი მხედარი მათრახს არ იხმარსო. შეჯიბრების დროს პირუტყვის ცემისთვის მკაცრი სასჯელია დაწესებული. ფოთში ეს სასჯელი (დისკვალიფიკაცია) დაიმსახურა სოხუმელმა ა. დომანსკიმ, რომელიც აშკარად მოუმზადებელი იყო ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებისთვის და სირცხვილნაჭამმა ჯავრი ცხენზე იყარა. საერთოდ, სოხუმელი სპორტსმენების ასპარეზობა უფრო ვარჯიშს მოგვაგონებდა, ვიდრე სპორტული სეზონისთვის მზადების შედეგების შემოწმებას.

მაგრამ არც ისაა დასამალი, რომ რესპუბლიკის საცხენოსნო კლუბებს, ყველას უკლებლივ, არ გააჩნიათ ნორმალური მუშაობის საჭირო პირობები. დახურულ მანეჟს (თბილისის იპოდრომის მანეჟის სპორტსმენებისთვის გადაცემის ცდებმაც ამაოდ ჩაიარა) მხედრები მხოლოდ სიზმარში თუ ხედავენ. ეს კი არა, სავარჯიშოდ და შეჯიბრების ხეირიანად ჩასატარებლად დაბრკოლებათა კომპლექტების შეძენაც მიუწვდომელ ოცნებად იქცა. ფაქტისთვის შორს არ წავალთ: შეჯიბრების მასპინძლებს რის ვაი-ვაგლახით, საკუთარი ძალებითა და სახსრებით დაუმზადებიათ დაბრკოლებათა ერთი კომპლექტი. საკმარისი იყო ერთი მათგანიც კი გამოსულიყო მწყობრიდან, რომ ასპარეზობის ორგანიზატორები გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ.

ფოთში საცხენოსნო კლუბის აღდგენით მართლაც დიდი საქმე გაკეთდა. აქ 15 სპორტული ცხენი ჰყავთ და ერთგული ენთუზიასტების ვ. მაქაცარიას და ც. შურღაიას ხელმძღვანელობით ახლა ბევრი ახალგაზრდა ეუფლება ამ ულამაზეს სახეობას. მრავალი წლის შესვენების შემდეგ სარბიელს კვლავ დაუბრუნდა წარსულში ერთ-ერთი უძლიერესი მხედარი ზ. ტოტიკოვი, რომელმაც დაბრკოლებათა გადალახვაში მონაწილეობის გარდა დოღსა და მარულაში გამარჯვებითაც მოხიბლა გულშემატკივრები. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ქალაქის ხელმძღვანელობის მიმართ, რომელმაც იპოდრომისთვის გამოყო ტერიტორია და დაიწყო 20 ცხენისთვის თავლის მშენებლობაც, მაგრამ ფოთის საცხენოსნო კლუბის ხვალინდელი დღე მაინც ბუნდოვნად გვესახება. საქმე ისაა, რომ კლუბს ჯერჯერობით არ გააჩნია საჭირო შტატები და ცხენების მოვლა-პატრონობის კონკრეტული გზაც გაურკვეველია. არადა, თავისი შესაძლებლობებით ფოთი საცხენოსნო სპორტის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ, დასაყრდენ პუნქტად გვესახება რესპუბლიკაში.

რაიონის საცხენოსნო კლუბებს წილობრივი მონაწილეობით, უფრო სწორად, სახსრების კოოპერირებით აფინანსებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ამდენად, ფოთი თბილისის მსგავსად, მოკლებულია ამ სიკეთეს, და, თუ უმაღლესი სპორტული ოსტატობის კომპლექსური სპორტული სკოლა (დირექტორი გ. ზაალიშვილი) არ დაეხმარა, ან ფოთის მსხვილმა საწარმო-დაწესებულებებმა დახმარების ხელი არ გაუწოდეს, არა გვგონია ენთუზიასტთა გულმოდგინებამ ყველა დაბრკოლება გადალახოს.

ფოთში უყვართ ცხენოსნობა. ეს დაადასტურა ჩინებულმა მასპინძლობამ და უამრავმა მაყურებელმა (იპოდრომის კეთილმოწყობის დროს მაყურებლებისთვის სკამების დადგმაც უნდა გაითვალისწინონ). შეჯიბრებისადმი მაყურებლის ინტერესის გაზრდის მიზნით მასპინძლებმა პროგრამის გარეშე დოღსა და მარულაშიც ჩაატარეს შეჯიბრებები, რაც კარგ თაოსნობად მიგვაჩნია. სხვა დროსაც არ უნდა გამორჩეთ ეს მხედველობიდან კლასიკურ სახეობებში შეჯიბრების ორგანიზატორებს.

ცხენოსნობას რაინდული ნებისყოფის, ერთგული ახალგაზრდები სჭირდება. ფოთში სწორედ ასეთ მხედრად გაგვაცნო თავი ამ შეჯიბრების დებიუტანტმა, ჩოხატაურელმა მ. ბერძენიშვილმა. ეს ჭაბუკი ჯერ 16 წლისაც არ არის, მაგრამ გულადობით და დამაჯერებელი მიზანსწრაფვით მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. III საპრიზო ადგილი ყველაზე რთულ სახეობაში — „ფოთის თასზე" დაბრკოლებათა გადალახვაში ამ სპორტსმენის კარგ მომავალზე მიგვითითებს.

შეჯიბრებაში სულ 38 მხედარი გამოვიდა, რაც უდავოდ სარეკორდო ციფრია ბოლო 10 წლის მანძილზე. ფავორიტებიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ გალელი მხედრების, ძმების მარლონ და ნუგზარ ლაბაშიების (ნუგზარი სტუდენტია და თბილისელთა სპორტულ ღირსებას იცავდა), ოჩამჩირელი მწვრთნელის ი. ბარათელის და მისი აღსაზრდელი გ. რუდაშევსკის წარმატებანი.

ასპარეზობის შემდეგ მწვრთნელებთან ერთად შევეცადეთ მომავლის თვალით გადაგვეხედა მხედრების შესაძლებლობებისთვის. ამაზე პასუხი თვით შეჯიბრების შედეგებში უნდა გვეძია, მაგრამ საბოლოო დასკვნის გამოტანა მაინც გაჭირდა. თავის შეკავების მიზეზი წარსულის მწარე გაკვეთილები გახლავთ: სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში ხომ ჩვენი მხედრები, როგორც წესი, უხეიროდ გამოდიან. ამ შეჯიბრების ლიდერები უდავოდ კარგი მხედრები არიან, მაგრამ მაინც ძნელია ზღვარი დასდო, სად თავდება შემთხვევითობა და სად იწყება ნამდვილი ოსტატობა. მით უმეტეს, რომ სირთულით ამ შეჯიბრების პროგრამა არ შეეფერებოდა სასპარტაკიადო მოთხოვნებს. პროგრამის გართულება, რა თქმა უნდა, ფოთშიც შეიძლებოდა, მაგრამ იმავე მიზეზებით, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთ სახეობაში განსაკუთრებით „ფოთის თასზე" დაბრკოლებათა გადალახვაში, ფინიშამდე შეიძლება ვერც ერთი მხედარი ვერ მისულიყო.

ასეთია ვითარება სადღეისოდ, მაგრამ მდგომარეობა სრულიადაც არაა უიმედო. ფაქტების კრიტიკული შეფასებით, მწვრთნელებისა და მხედართა ხელშეწყობით, მათი პასუხისმგებლობის ამაღლებით, ვფიქრობთ, შესაძლებელია ნაწილობრივ მაინც გადავლახოთ დაბრკოლებები, რომლებიც გზაზე ეღობება ცხენოსნობის განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

**თ. ბაჩეხილაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

• • •

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ფოთის, ცხაკაიას, ჩოხატაურის, ზუგდიდის, ოჩამჩირის, გალის, სოხუმის, გუდაუთისა და გულრიფშის ცხენოსნები. გთავაზობთ პრიზიორთა ტექნიკურ შედეგებს: **„გახსნის პრიზი"**. 1. მ. ლაბაშია (გალი), 2. ი. ბარათელია (ოჩამჩირე), 3. ბ. კუზმინი (თბილისი) — სამივე უჯარიმოდ, ადგილები განაწილდა დამატებით ასპარეზობაში; **„სამონადირო პარკური"**. 1. მ. ლაბაშია — 1.24, 2. ბარათელია — 1.36, 3. ნ. ლაბაშია (თბილისი) — 1.37; **„ძალისმიერი"**. 1. მ. ლაბაშია — 3 საჯარიმო ქულა, 2. ნ. ლაბაშია —4, 3. გ. რუდაშევსკი (ოჩამჩირე) — 7; **„ფოთის თასი"** ორი წრის შედეგებით. 1. ბარათელია — 16 საჯარიმო ქულა, 2. მ. ლაბაშია — 22, 3. მ. ბერძენიშვილი — 24,25. **აბსოლუტური პირველობა.** 1. მ. ლაბაშია — 24,3 ქულა, 2. ი. ბარათელია — 17,3, 3. რუდაშევსკი — 10.

• • •





**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: „ფოთის თასზე" დაბრკოლებათა გადალახვაში საპრიზო ადგილებზე გასული მხედრები (მარცხნიდან) ი. ბარათელია, მ. ლაბაშია და მ. ბერძენიშვილი; საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი დაბრკოლებათა გადალახვაში მ. ლაბაშია თავის მერან „მოსკოვთან" ერთად.**
ბ. ვერშინინის ფოტოები.

# შედეგებით კმაყოფილია

რიგა, 21 აპრილი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობა სარეკორდო იყო მონაწილეთა სიმრავლით: ადგილობრივი სპორტული მანეჟის სამ ხალიჩაზე ოქროს მედლებისთვის 300-მდე ათლეტი იბრძოდა.

ჩემპიონატი ბევრი მოჭიდავისთვის იღბლიანი გამოდგა, მაგრამ ბევრს იმედებიც გაუცრუა. ჯილდო ყველას არც ერგებოდა, მაგრამ ზოგიერთ აღიარებულ ფავორიტს მართლაც ბედმა უმტყუნა.

მაგალითად, 62 კგ წონითს კატეგორიაში ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ შარშანდელი ჩემპიონი ვ. ერმოშინი (სარატოვი), ევროპის ჩემპიონი ნ. დავიდიანი (კიევი), თეირანის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, მოსკოველი ა. კავკაევი და თბილისელი ჯ. მეგრელიშვილი. ოქროს მედალი ერგო კავკაევს. დანარჩენები კი სხვადასხვა მიზეზით ჩამოცილდნენ მთავარი პრიზისთვის ბრძოლას.

ჯ. მეგრელიშვილმა სტარტზევე მეტად დასანანი მარცხი იწვნია ნაკლებად ცნობილ დუშანბელ ვ. შაკოევთან. ყველაზე გულდასაწყვეტი ამ შეხვედრაში ის იყო, რომ მეგრელიშვილმა წააგო აშკარად მოგებული ბრძოლა, თანაც წმინდად. ქართველი ოსტატი თავის მეტოქეს 11 ქულას უგებდა (ანგარიში იყო 12:1), როცა სრულიად მოულოდნელად წამოეგო მეტოქის ფანდზე.

ერმოშინი ბოლო ვარჯიშზე დაშავდა და ტურნირში მონაწილეობა არც მიუღია.

ამ წონაში საინტერესო იყო დავიდიანისა და კავკაევის გადამწყვეტი შეხვედრა. თავდაპირველად დაწინაურდა დავიდიანი — 3:0. მერე ინიციატივა ხელთ იგდო კავკაევმა — 8:3, 14:3. ყველას ეგონა, ბრძოლის ბედი გადაწყვეტილიაო, მაგრამ დავიდიანმა შესაშური მიზანსწრაფვა გამოიჩინა და ზედიზედ 7 ქულა აიღო (14:10). საბოლოოდ გამარჯვება მაინც კავკაევს დარჩა (17:10), მაგრამ, სპეციალისტთა აღიარებით, ეს შეხვედრა ჩემპიონატის გვირგვინი იყო.

82 კგ წონითს კატეგორიაში არ გაუმართლა მსოფლიოს ჩემპიონს, მინსკელ ლ. ლიბერმანს. არც მისი მეტოქე იყო ახალბედა — ალმაათელ ა. ნაზარენკოს მკერდს ოლიმპიური ვერცხლის მედალი უმშვენებს. სპეციალისტთა უმრავლესობა უპირატესობას უფრო ახალგაზრდა ლიბერმანს ანიჭებდა, მაგრამ პირიქით მოხდა: ალმაათელმა 7 ქულა აართვა მეტოქეს და შერკინებაც მოიგო.

90 კგ წონითს კატეგორიაში უკვე კარგა ხანია ბატონობს მსოფლიოს სამგზისა და მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონი ვ. რეზანცევი (ისიც ალმა-ათიდანაა). რეზანცევმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას.

სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი ვ. იგუმენოვი კმაყოფილია ტურნირის შედეგებით. მას მიაჩნია, რომ ევროპის მომავალი ჩემპიონატის (ჩატარდება წლეულს ესპანეთში) წინ ნიჭიერი ახალგაზრდების გამოჩენა კარგი ნიშანია და გუნდი შეეცდება არ დათმოს მოპოვებული პოზიციები. ამასთან, იგუმენოვის აზრით, რიგის ჩემპიონატის მთავარი აღმოჩენაა კიეველი დ. ზადვირნიაკი. ნიჭიერმა, ღონიერმა მოჭიდავემ თავისი დებიუტი საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედლით აღნიშნა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ხ. ყურბანოვი (ბაქო), ვ. არუთინოვი (ერევანი), ფ. მუსტაფინი, ა. კავკაევი (ორივე — მოსკოვი), შ. ხისამუტდინოვი (მოსკოვის ოლქი), ი. კლინტსონი (რიგა), ა. ნაზარენკო, ვ. რეზანცევი (ორივე — ალმა-ათა), დ. ზადვირნიაკი, ა. კოლჩინსკი (ორივე — კიევი).

# მთავარი ბრძოლა წინაა

ვინ იფიქრებდა, რომ ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ტ. პეტროსიანისა და ვ. კორჩნოის ნახევარფინალური მატჩის დასაწყისი ასე ბობოქარი იქნებოდა? სამი პირველი პარტიიდან ორი შედეგიანი აღმოჩნდა. სამი წლის წინათ გამართულ მატჩში კი პეტროსიანი პრეტენდენტთა ტურნირის ფინალში ერთადერთმა მოგებამ გაიყვანა. რა მოხდა? ნუთუ ამ ხნის მანძილზე ძალთა შეფარდება ასე შეიცვალა? ნიშნავს თუ არა სტარტზე მოპოვებული ორქულიანი უპირატესობა კორჩნოის საბოლოო გამარჯვებას? ვფიქრობთ, რომ ამ შეკითხვებზე მოკლედ პასუხის გაცემა შეუძლებელია.

მე მგონია, რომ წინანდელ ორთაბრძოლაში მიღებულმა უსიამოვნო გამოცდილებამ დადებითი გავლენა მოახდინა კორჩნოიზე. მატჩში ბრძოლას ხომ თავისი სტრატეგია და ტაქტიკა, თავისი ფსიქოლოგია აქვს. ახლა ლენინგრადელი მოჭადრაკე ცოტა უფრო უკეთ იცნობს თავის მრისხანე მეტოქეს.

ამავე დროს, წინა მატჩში მოპოვებულმა წარმატებამ და პირადი შეხვედრების უკეთესმა ანგარიშმა, შეიძლება, ცოტა სიფხიზლე მოუდუნა მსოფლიოს ექს-ჩემპიონს.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ პეტროსიანი ხშირად იწყებს შეჯიბრებას დუნედ, იმ საბრძოლო და ემოციური განწყობილების გარეშე, რაც აუცილებელია უძლიერეს პარტნიორებთან გამარჯვებისთვის. კორჩნოის უთუოდ გათვალისწინებული აქვს თავისი მეტოქის ეს თვისება და პირველივე პარტიიდან უდიდესი ენერგიით დაიწყო თამაში.

ყოველივე ამან, აგრეთვე, ბრწყინვალე სპორტულმა ფორმამ, განაპირობა კორჩნოის უდავო უპირატესობა მატჩის დასაწყისში. მაგრამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ტალანტი, ჩვეულებრივ, ყველაზე ნათლად უდიდესი საფრთხის წუთებში ვლინდება ხოლმე. და, ვფიქრობ, ეს ყველაზე მეტად ართულებს კორჩნოის ამოცანას.

მატჩში გამარჯვებისთვის ხომ ოთხი მოგებაა საჭირო პეტროსიანი ძალიან იშვიათად აგებს მატჩში ორ პარტიას, ხოლო ოთხი პარტია საერთოდ არასოდეს წაუგია. ასე რომ, მთავარი და საინტერესო ბრძოლა ჯერ წინაა.

**ვ. ტუკმაკოვი,**
საერთაშორისო დიდოსტატი.
ოდესა.

XXVI ჩემპიონატი

# რა დაემართათ დინამოელებს?

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 21 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 3:3 (პენალტებით).

„დინამო": გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ხინჩაგაშვილი (მუჯირი), ხურცილავა, ებრალიძე, ჭელიძე, მ მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (გ. ნოდია), ყიფიანი, წერეთელი.

„ტორპედო": ზარაპინი, ტუკმანოვი, პახომოვი, ბუტურლაკინი, ხუდიევი, ბელოუსოვი, ფილატოვი, ფეტისოვი (ნიკონოვი), იურინი, ესკოვი, აბრამოვი.

მსაჯი ვ. ფარდმანი (ეისკი).

მატჩის მეორე დღეს, ორშაბათს, დილიდანვე მოვიდა რედაქციაში ფეხბურთის რამდენიმე მოყვარული. ზოგს უკვე გამზადებული ჰქონდა წერილი, ზოგიც უშუალოდ აპირებდა თავისი გულისტკივილის გამოხატვას განვლილი თამაშის გამო. ამ დროს, რა თქმა უნდა, არც ტელეფონი იყო ჩუმად, რეკავდნენ იმავე საკითხზე: რა მოუვიდა ჩვენს გუნდს, რაშია საქმე, რა დაემართათ დინამოელებს?

მაყურებელთა შეშფოთება ძირითადად ეხება არა იმ დანაკარგს, რომელიც დინამოელებმა განიცადეს სტარტზე—1 ქულა 4 შესაძლებლიდან, არამედ თვით თამაშის ხარისხს, გუნდის ფორმას, მოთამაშეთა მზადყოფნას თუნდაც ადრეული, საგაზაფხულო პერიოდისთვის. გულშემატკივართა პრეტენზიები სავსებით სამართლიანია და მათს შეშფოთებასაც სერიოზული საფუძველი აქვს: ჩემპიონატის პირველ ორ მატჩში ჩვენი გუნდის თამაშში ხერიანი და საიმედო ვერაფერი ვნახეთ, უკმაყოფილონი წამოვედით სტადიონიდან. საგანგაშო, მთავარი აქ ისაა, რომ საქმე ეხება არა ერთი ან რამდენიმე ფეხბურთელის სუსტ ფორმას, ცალკეულ შეცდომებს, ანსამბლიდან გამოთიშვას, არამედ მთლიანად გუნდის, მთელი კოლექტივის ძალიან ცუდ, ქაოსურ, არაორგანიზებულ თამაშს. ეს ეხება ყველას უკლებლივ (შეიძლება გამონაკლისი დავუშვათ მხოლოდ ახალგაზრდა მცველის მუჯირის მიმართ, რომელიც მეორე ტაიმში გამოვიდა მინდორზე და, რამდენადაც შეეძლო, გამოასწორა მდგომარეობა).

როცა არჩევენ თბილისის „დინამოს" თამაშს, ყველა სპეციალისტი და მიმომხილველი ერთხმად აღნიშნავს მისი ნახევარდაცვის ტაქტიკურად არასწორ მოქმედებას შუა მინდორში. არც ერთი გუნდი თანამედროვე ფეხბურთში, ჩვენი იქნება თუ უცხოეთისა, არ ფერხდება ცენტრალურ ზონაში ისე, როგორც თბილისელები. ბურთის გაუთავებელი, ყოვლად უსარგებლო ტარება იქცა თვითმიზნად, მავნე პრინციპად, რომელიც უკვე მტკიცე ჩვევად გაუჯდათ ჩვენს ნახევარმცველებს. ეს ყველაზე საპასუხისმგებლო ხაზი რაღაც დამოუკიდებელ „ავტონომიურ" რგოლად გადაიქცა და ორგანულად არაა დაკავშირებული მთლიანად კოლექტივთან. იგი არ ქმნის აზრიან, მოფიქრებულ კომბინაციებს, არ ცდილობს მეტოქე დააყენოს სწრაფი და მოულოდნელი ხიფათის წინაშე, გაითამაშოს ბურთი ისე, რომ მოპირდაპირე დაცვა უეცრად ჩააგდოს საფრთხეში, მოუსპოს საშიშროების ლიკვიდაციის საშუალება. არა, ჩვენი ნახევარმცველები, უკლებლივ, ბურთიანად ცდილობენ 20-30 მეტრის გავლას მარტოდმარტო, მხოლოდ დრიბლინგის საშუალებით და თუ გადაცემა სრულდება, იგი ან ძალზე არაზუსტია, ან ყოვლად უხიფათო — განივი, მოკლე, პირდაპირ პარტნიორის ფეხებში. ნახევარდაცვის შემადგენლობა ზოგიერთ მატჩში იცვლება ხოლმე, მაგრამ თვით თამაშის პრინციპი კი ძველი რჩება.

ძალიან უკლეს თამაშს მცველებმა. შეიძლება, ეს მორიდებული განსაზღვრა — „უკლეს" — ვერც გამოხატავდეს იმ უამრავ შეცდომას, რომლებიც სისტემატურად ხდება ჩვენი კარის სიახლოვეს. გასაკვირია, რომ ეს მოხდით ისეთი მაღალი კლასის გამოცდილ ოსტატებს, როგორიც არიან ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი. „დინამოს" ახლანდელი დაცვა ის საძირკველია, რომელიც გუნდის სწორი თამაშის გარანტიას უნდა ქმნიდეს, თავიდან გვაცილებდეს სიძნელეებს. საქმე კი პირიქითაა. პირველხარისხოვანი მცველები და არაორგანიზებული დაცვა — ესაა თბილისის „დინამოს" ამოუხსნელი პარადოქსი.

უკეთ არც თავდასხმაშია საქმე. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ორიოდე ფლანგური გარღვევა და ცენტრში უმისამართო გადაცემა წყვეტს შეტევის კარდინალურ საკითხებს, ძალიან ცდება. თავდასხმა უნდა მოძრაობდეს განუწყვეტლივ, გამუდმებულ დაძაბულობაში ჰყავდეს მოწინააღმდეგე, დინამოელთა წინა ხაზი კი ოდნავადაც არ იჩენს აქტიურობას, ინერტულია და იოლად აძლევს მოპირდაპირე მცველებს კარისკენ გასასვლელი გზების გადაკეტვის საშუალებას.

წინა წლებში თბილისის „დინამოს" მთავარ კოზირს წარმოადგენდა მაღალი ტექნიკა, ინდივიდუალური საშემსრულებლო ოსტატობა და სწრაფი, შეუნელებელი ტემპი. ახლა კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი გუნდი ერთ-ერთი ყველაზე ნელი, უმოძრაო, „წყნარი" გუნდია, ხოლო მოთამაშეთა მთელი ტექნიკა ბურთის ტარებით ამოიწურება. ასეთი ტემპით შორს ვერ წავალთ.

მოსკოვის „ტორპედოსთან" მატჩის 90 წუთმა ისე განვლო, რომ თბილისელებმა, არსებითად გოლის გატანის ვერც ერთი რეალური საშიშროება ვერ შეუქმნეს ზარაპინს. სახიფათო მომენტები მას არ ჰქონია, გაგოშიძეს კი 75-ე წუთზე პირისპირ მოუხდა დარჩენა აბრამოვთან და, დროზე რომ არ გამოსულიყო წინ, გოლი გარდუვალი იყო.

0:0 — ეს ციფრები ზუსტად გამოხატავს მატჩის მსვლელობას და შინაარსს. იგი აშკარად უინტერესო და სანახაობრივად მდარე იყო. ვერც დამატებითმა პენალტებმა გამოიწვია ტრიბუნებზე [illegible] ... ნაიდან ... ებრალიძის, ... და ესკოვის დარტყმების შემდეგ ძოძუაშვილმა, წერეთელმა, ფილატოვმა და ბუტურლაკინმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ანგარიში 3:3 არ შეცვლილიყო და არც ერთ მხარეს არ დაეკარგა ერთი ქულა.

სიმართლეს თვალებში უნდა ვუყუროთ: დღეს ჩვენი ფეხბურთელები ძალიან სუსტად თამაშობენ, წინ კი ორი ურთულესი მატჩი გვაქვს: მოსკოვში — „სპარტაკთან" და კიევში — „დინამოსთან". დინამოელებმა იქ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ გამოასწორონ მდგომარეობა და კიდევ უფრო არ გაირთულონ საქმე.

ზ. ძორძია.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „დინამოს" და მოსკოვის „ტორპედოს" შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## დუბლიორთა ტურნირი

21 აპრილს გაიმართა II ტურის მატჩები.

„არარატი" — ცსკა 3:2. წინა ტურში დამარცხებული ჩემპიონი და გუნდი, რომელმაც სტუმრად შეძლო 2 ქულის აღება! რა თქმა უნდა, ეს მატჩი ყურადღების ცენტრში იყო. და ბრძოლაც უკიდურესად დაძაბული, საინტერესო გამოდგა. დაწინაურდნენ მასპინძლები (მარქაროვი), მაგრამ არმიელებმა დუდარენკომ და პაპაევმა ტაიმის დასასრულამდე წინ გაიყვანეს თავიანთი გუნდი — 2:1. ყველაფერი გადაწყდა მეორე ტაიმში, როცა იშტოიანისა და იმავე მარქაროვის ზუსტმა დარტყმებმა გამარჯვება მოუტანა „არარატს".

„კაირათი" — „ზენიტი" 2:2. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს მიხაილინმა და იონკინმა, სტუმართაგან — უიგუნოვმა და ფოკინმა.

„ფახთაქორი" — „დინამო" (მოსკოვი) 3:3 (პენალტებით).

„დინამო" (კიევი) — „შახტიორი" 1:0.

„ჩერნომორეცი" — „დნეპრი" 2:2.

„ნისტრუ" — „კარპატი" 1:0.

„ზარია" — „სპარტაკი" 0:1.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ბ.-11. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 2 | 1 | 1 | 0 | 4—2 | — | 3 |
| „კაირათი" (ალმა-ათა) | 2 | 1 | 1 | 0 | 4—3 | — | 3 |
| „დინამო" (კიევი) | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 | — | 3 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 2 | 1 | 1 | 0 | 1—0 | 3—3 | 3 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 2 | 1 | 1 | 0 | 1—0 | 3—3 | 3 |
| ცსკა | 2 | 1 | 0 | 1 | 5—4 | — | 2 |
| „არარატი" (ერევანი) | 2 | 1 | 0 | 1 | 3—3 | — | 2 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 2 | 0 | 2 | 0 | 3—3 | — | 2 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 2 | 0 | 2 | 0 | 3—3 | — | 2 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 3—3 | 2 |
| „ნისტრუ" (კიშინიოვი) | 2 | 1 | 0 | 1 | 1—2 | — | 2 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—2 | 3—3 | 1 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—2 | — | 1 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—2 | — | 1 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 3—3 | 1 |
| „დინამო" (თბილისი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—3 | 3—3 | 1 |

# არა, მატჩი „ლოკომოტივზე" არ შედგარა!

აფიშა და, მით უმეტეს, გაზეთში გამოქვეყნებული განცხადება კანონია, იგი ზუსტად უნდა ატყობინებდეს დაინტერესებულ პირთ, მოსახლეობას, თუ სად, როდის და რა იმართება, ვინ მონაწილეობს და ა. შ. დეზინფორმაცია ასეთ დროს ყოვლად დაუშვებელი ამბავია.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს თბილისის „დინამოს" და მოსკოვის „ტორპედოს" დუბლიორ ფეხბურთელთა კალენდარული მატჩის აფიშირებასთან დაკავშირებული გაუგებრობა, რომელიც 20 აპრილს მოხდა. თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონის დირექციამ გაზეთებში გამოაცხადა, რომ ეს მატჩი სწორედ ამ ბაზაზე შედგებოდა 18 საათზე, თუ არ იქნებოდა წვიმიანი ამინდი.

კეთილი და პატიოსანი. 20 აპრილს თბილისში დილიდან ცვარიც არ ჩამოვარდნილა, ამიტომ ჩვენ, ფეხბურთის მოყვარულნი, იმედიანად, გულდაჯერებული მივედით „ლოკომოტივის" სტადიონზე იმ დროისთვის, როცა საჭირო იყო — 18 საათისთვის.

მაგრამ გამოირკვა, რომ თამაში გადაუტანიათ „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე დიღომში და ისიც 16 საათისა და 30 წუთისთვის. მოგეხსენებათ, „ლოკომოტივის" სტადიონი ქალაქის ერთ ბოლოშია, დიღომი კი სულ საწინააღმდეგო მხარეს. თამაშის სანახავად მოსული გულშემატკივრები გაწბილებული დავრჩით, ვინაიდან დიღომში ვერაფრით ვერ მოვასწრებდით...

საინტერესოა, ვინ იგდებს ასე აბუჩად ფეხბურთის მოყვარულებს? დუბლიორთა მატჩები ოფიციალური საკავშირო შეჯიბრებაა და არა საწვრთნელი თამაშები. ამიტომ მათ, ვისაც ეს ეხება, კეთილი ინებონ და ისეთ დროს ჩაგვაყენონ საქმის კურსში, რომ მატჩი არ გამოგვატოვებინონ.

გაოცებას იწვევს ისიც, რომ მატჩის გადატანა სხვა ბაზაზე, თანაც შეხვედრის დროის შეცვლა, არაფრით არ იყო ნაკარნახევი: თბილისში იმ დღეს „წვიმიანი ამინდი" არ იდგა.

ლ. მახარობლიძე,
ლ. კერდიკაშვილი.

# ფიქციური პენალტები!

შარშანდელმა დადგენილებამ ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშებებში ფრეს გაუქმების შესახებ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს აგვისტოში თოვლი მოვიდაო. დირექტიული წესით აიკრძალა ის, რაც ფეხბურთის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი ოფიციალური შექმნის დღიდან. გოლის გატანა ფეხბურთში ძალიან ძნელი საქმეა არა მარტო მაშინ, როცა მოპირდაპირე მხარეები თანაბარძალოვანი არიან, არამედ მაშინაც, როცა ერთ რომელიმე გუნდს დიდი უპირატესობა აქვს. ცხადია, რომ მან, ვინც ფეხბურთი გამოიგონა, კარგად იცოდა ეს ამბავი.

ჩვენმა რედაქციამ შარშან სეზონის დაწყებამდე ცნობილ სპეციალისტებს, მწვრთნელებს, მსაჯებს საშუალება მისცა გამოეთქვათ თავიანთი აზრი ფრეს მოსპობის თაობაზე და ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ახალი წესი არავითარ სარგებლობას არ მოიტანდა. შემდეგ, უკვე შუა სეზონში, ასეთივე მოსაზრებები გამოთქვეს ცენტრალურ პრესაში მიმომხილველებმა და ჟურნალისტებმა, ჩემპიონატის შემდეგ კი სიახლის აბსურდულობაზე დაუფარავად ლაპარაკობდა ყველა, ვინც კი პრაქტიკულად დარწმუნდა ამაში.

თითქოს ყველაფერი გაირკვა და ნათელი გახდა: ექსპერიმენტმა არ გაამართლა და მისი გაუქმებაც აუცილებელი იყო. მაგრამ რეფორმა დებულებაში მაინც დარჩა მოდერნიზებული სახით: ფრე გაუქმდეს მხოლოდ მაშინ, თუ არც ერთ კარში გოლი არ გავა (0:0), დაინიშნოს დამატებითი პენალტების თითო სერია (5-5 დარტყმა) და, თუ ანგარიში ამის შემდეგაც თანაბარი იქნა, გუნდებს დაეწეროთ თითო ქულა.

მაგრამ, თუ პენალტებმა წარმატება მოუტანა ერთ რომელიმე მხარეს, მაშინ როგორ მოვიქცეთ? დებულება განმარტავს: დამატებითი პენალტებით გამარჯვებულს — ისევ 1 ქულა.

სადაა ლოგიკა? ფრედ ითამაშებ — 1 ქულა, მოიგებ — ისევ 1 ქულა! რატომ უნდა გასწიონ ფეხბურთელებმა რისკი, თუ ფრეც და მოგებაც ერთნაირ „ანაზღაურებას" იძლევა? და არც არავინ მიდის ამ რისკზე. გუნდები პატიოსნად თამაშობენ 90 წუთს, იბრძვიან, როგორც ფეხბურთელებს შეეფერებათ. თუ გოლი არ გავიდა, ყველაფერი მთავრდება... მორიგებით: პენალტები, ფეხბურთის ეს უმაღლესი სასჯელი, სრულდება წინასწარი სცენარის მიხედვით და გუნდები თითო ქულას იძენენ. კმაყოფილია ყველა, გარდა მაყურებლისა. აბა რა სასიამოვნოა უყურო 11-მეტრიანების სერიას, როცა იცი, რომ იგი აბსოლუტური ფიქციაა?

მაგალითიო, იქნებ გვითხრას ვინმემ.

ინებეთ: უმაღლეს ლიგაში, I ლიგაში, II ლიგის III ზონაში (სადაც საქართველოს გუნდები გამოდიან) 2 ტურის შემდეგ ჯერ არ დამთავრებულა მატჩი უგოლოდ, რომ დამატებითმა პენალტებმა, რაღაც ამოუხსნელი „კანონზომიერებით", თანაბრად არ გაამწვილოს მეტოქეები. დაგისახელებთ ამ მატჩებს: დონეცკის „შახტიორმა" და მოსკოვის „სპარტაკმა" 0:0 ითამაშეს, მერე კი 3-3 პენალტი გაიტანეს და თითო ქულა აიღეს. ზუსტად ასევე დამთავრდა ტაშკენტის „ფახთაქორისა" და მოსკოვის „დინამოს" შეხვედრაც.

I ლიგაში აშხაბადის „სტროიტელმა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" ვერ შეძლეს ბურთის გატანა ძირითად დროში, პენალტებით კი 3:3 ითამაშეს, ასევე მოხდა სიმფეროპოლის „ტავრიას" და ლიპეცკის „მეტალურგის" მატჩშიც.

II ლიგაში მახარაძის „მერცხალმა" და სამტრედიის „ლოკომოტივმა", აგრეთვე, ლანჩხუთის „გურიამ" და ელისტის „ურალანმა" 0:0-ზე დამთავრებული მატჩების შემდეგ პენალტებიც ყაიმით აღნიშნეს — 4:4 ორივე შეხვედრაში.

რაღა შორს მივდივართ? თბილისის „დინამოს" და მოსკოვის „ტორპედოს" გუშინწინდელ შეხვედრაში ყველანი უტყუარი მოწმე ვიყავით იმისა, რომ ორივე მხარემ 3-3 პენალტი გაიტანა, მეოთხე და მეხუთე დარტყმებით კი ფეხბურთელებმა ბურთი დემონსტრაციულად სტყორცნეს ისე, რომ მეკარეებისკენ არც გაუხედავთ. ტრიბუნებიდან ყველაფერი ნათლად ჩანდა.

შემთხვევითობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ყველაფერი წინასწარ მოფიქრებით და ურთიერთდასტურით ხდება. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ წლეულს, უკლებლივ ყველა მატჩში, რომლებიც კი 0:0-ზე დამთავრდა, პენალტები საადთიაქო სიზუსტით გაიყო სანახევროდ.

ცხადია, ასეთ ვითარებაში ახალ კანონს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. პირიქით, იგი ხელს უწყობს შემთანხმებლობას, უფრო მეტიც, — აიძულებს ფეხბურთელებს აკრძალულ ხერხებს მიმართონ ათეულ ათასობით დამსწრე მაყურებლის წინაშე, რომ არაფერი ვთქვათ ურიცხვ ტელემაყურებელზე.

ცხადია, სანამ არის დრო, დებულება უნდა შესწორდეს, თორემ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უაზრობაა ებრძოლო 0:0-ან ფრეს, როცა პენალტების შემდეგ საბოლოო შედეგი მაინც ფრეა და ისიც ისეთი არასასიამოვნო პროცედურის მერე, როგორიცაა ფიქციურად შესრულებული პენალტები.

„ლელოს" მიმომხილველი.

◆ ბრაზილია, 22 აპრილი. მსოფლიო ჩემპიონატის ახალბედები—ჰაიტის ფეხბურთელები აქ ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ სამყაროს უძლიერეს გუნდს — ბრაზილიის ნაკრებს და დამარცხდნენ — 0:4. გოლები გაიტანეს პაულო ცეზარმა, რიველინომ, მარინიომ და ედუმ. მატჩს 35 ათასი მაყურებელი დაესწრო.

◆ პარიზი, 22 აპრილი. ომსკელმა ი. სკოსირევმა მოიგო ტრადიციული საერთაშორისო ველორბოლა, რომლის ტრასაც სარტის დეპარტამენტში გადიოდა.




## ფინალისტთა საქმეები

● 8:1 — ასეთი ანგარიშით მოუგო არგენტინის ნაკრებმა საწვრთნელი მატჩი „აკარეუზოს", რომელიც ამ ქვეყნის წამყვანი კლუბების რიცხვს არ მიეკუთვნება.

● იტალიელთა მწვრთნელი ფ. ვალკარეჯი დიდად კმაყოფილია „ინტერნაციონალესა" და ნაკრების თავდამსხმელის რ. ბონინსენიას ამჟამინდელი ფორმით. ეს ფეხბურთელი ისე არ წავა მინდვრიდან, გოლი რომ არ გაიტანოს.

საერთოდ, ვალკარეჯის ახლა საუკეთესო თავდამსხმელები ჰყავს: რივა, კინალია, ბონინსენია, ანასტაზი, კიარუჯი...

● „ცივი ომი", რომელიც ურუგვაის ნაკრების მწვრთნელს პორტას და წამყვან ფეხბურთელს კუბილას შორის მიმდინარეობდა, იმით დამთავრდა, რომ ბოლო ორი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ვეტერანი ნაკრების შემადგენლობიდან გაირიცხა.

პორტას სიტყვებით, ეს გამოწვეულია კუბილას უდისციპლინობით: მან ორჯერ უმიზეზოდ გააცდინა ნაკრების სპარინგ-მატჩები.

## მორიგი ტირაჟები

მოსკოვი, 20 აპრილი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი ტირაჟები. აი, იღბლიანი ნომრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო": 3 (აკრობატიკა), 15 (წყალბურთი), 22 (ციგურებით სწრაფრბენა), 24 (სათხილამურო სპორტი), 27 (მოტოსპორტი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო-2": 2 (საავტომობილო სპორტი), 8 (კრივი), 16 (სპორტული ტანვარჯიში), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 42 (ძალოსნობა), 49 (შაში).

## დიდი მოგებანი

„სპორტლოტოს" მოყვარულებმა უკვე იციან, რომ სპორტული ლატარიის წლევანდელი მეცხრე ტირაჟი მოგებათა რაოდენობის მხრივ სარეკორდო იყო. მარტო საქართველოში „ხუთოსანთა" არმიას 19 კაცი ერთად შეემატა.

ამ დღეებში „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში განსაკუთრებით ბევრი სამუშაო აქვს დიდ მოგებათა გაცემის ჯგუფს. ჩვენი რესპუბლიკის სულ სხვადასხვა კუთხიდან მოდიან სპორტული ლატარიის „ხუთოსნები". მათ შორისაა ხაშურელი პენსიონერი ვ. ბიტაძე, რომელმაც მე-9 ტირაჟში 18 ბილეთი იყიდა და 4 მომგებიანი აღმოჩნდა. ერთნაირად შევსებულ ორ ბილეთზე ხაშურელმა პენსიონერმა ხუთ-ხუთი სახეობა გამოიცნო, დანარჩენ ორზე — სამ-სამი. სულ მას 2722 მანეთი მოგება ხვდა. გარდაბნის ავტოსატრანსპორტო საწარმოს შოფერმა ა. მუსტაფაევმა 1358 მანეთი მოიგო „სპორტლოტო-2"-ის ბილეთზე ხუთი ნომრის გამოცნობით. საქართველოს სსრ ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მომარაგების განყოფილების შოფერს ნ. სუხორუკოვს „სპორტლოტოში" ხუთი ნომრის გამოცნობისთვის 2068 მანეთი ხვდა.

„სპორტლოტოს" მე-8 ტირაჟში დიდი მოგება ერგო ფოთის მე-8 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეს ს. არისტოვს, რომელსაც ერთი ბილეთი ჰქონდა და ხუთი სახეობა გამოიცნო. ამ მოგებისთვის მან 2260 მანეთი მიიღო.

მე-7 და მე-9 ტირაჟებში ბედმა გაუღიმა ნ. კიკოზაშვილისა და დ. შათაშვილის ოჯახს. მე-7 ტირაჟში ცოლმა შეავსო „სპორტლოტო-2"-ის ბილეთი და 5 ნომერი გამოიცნო. მე-9 ტირაჟში უკვე მამამ და ქალიშვილმა — VI კლასის მოსწავლე მარინემ „გაიმარჯვეს" — 5 სახეობა გამოიცნეს და 2068 მანეთი მოიგეს.

ზ. გამილაღდიშვილი,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

# მესამეტედ!

HELSINKI 5.-20.4.1974

## პრესტიჟის მატჩი

ჰელსინკი, 20 აპრილი. დღეს საღამოს აქ საზეიმოდ დაიხურა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატი ჰოკეიში, მანამდე კი ბოლო ორი მატჩი გაიმართა. საბჭოთა ჰოკეისტებს შვეციის ნაკრებთან შეხვედრაში ჩემპიონობის მოსაპოვებლად ფრეც ჰყოფნიდათ. მე-7 წუთზე ხარლამოვმა კარგად გამოიყენა მიხაილოვის გადაცემა და ანგარიში გახსნა. პირველ პერიოდში საბჭოთა გუნდის უპირატესობა იგრძნობოდა, მაგრამ გოლი აღარ გასულა.

მეორე პერიოდში შადრინის მიერ მე-4 წუთზე გატანილი შაიბა შვედმა ლუნდსტრიომმა გაქვითა.

მესამე პერიოდის დასაწყისში მალცევმა (რომელსაც დღეს 25 წელი შეუსრულდა) მესამე და უკანასკნელი შაიბა გაიტანა შვედების კარში — 3:1 (1:0, 1:1, 1:0). საბჭოთა ნაკრები მეცამეტედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

გათამაშების ბოლო, 30-ე მატჩში მასპინძლები — ფინეთის ჰოკეისტები ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდს ეთამაშნენ. ეს იყო პრესტიჟის მატჩი, სატურნირო ცხრილში ადგილების განაწილებაზე არ ახდენდა გავლენას. მეტოქეებმა წარმატების მისაღწევად თავი არ დაზოგეს. ანგარიში ვეტმა გახსნა, მაგრამ პირველივე პერიოდში ფინელებმა რანტასილამ, კეტოლამ, აჰოკაინენმა და სუტინენმა ოთხი შაიბა გაიტანეს მეტოქის კარში.

მეორე პერიოდში ჩეხოსლოვაკიის ნაკრების წევრებმა მარტინეცმა და მახაჩმა ერთამდე შეამცირეს ანგარიშში სხვაობა — 3:4.

მესამე პერიოდი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ი. ჰოლიკმა გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ მისი თანაგუნდელების სიხარული სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა: კეტოლამ ოსტატურად მოატყუა მეკარე და ცარიელ კარში გაგზავნა შაიბა. ეს ჩემპიონატის ბოლო გოლი იყო. მატჩის ანგარიშია 5:4 (4:1, 0:2, 1:1) ფინელთა სასარგებლოდ.

ჩემპიონატის დირექტორატმა დაასახელა საუკეთესო მოთამაშეები. საუკეთესო მეკარედ საბჭოთა ნაკრების კარის მცველი ვ. ტრეტიაკი ცნეს, საუკეთესო მცველად — ლ.-ე. შიობერგი (შვეცია), ხოლო თავდამსხმელად — ვ. ნედომანსკი (ჩეხოსლოვაკია).

ჟურნალისტებმა ტრადიციისამებრ შეადგინეს მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები. აი, ეს გუნდიც: მეკარე კ. ლარსონი (შვეცია), მცველები გ. ვასილიევი (სსრ კავშირი) და ლ.-ე. შიობერგი (შვეცია), თავდამსხმელები ვ. მარტინეცი, ვ. ნედომანსკი (ორივე — ჩეხოსლოვაკია) და ბ. იაკუშევი (სსრ კავშირი).

● ●

### საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 10 | 9 | 0 | 1 | 64:18 | 18 |
| ჩეხოსლოვაკია | 10 | 7 | 0 | 3 | 57:20 | 14 |
| შვეცია | 10 | 5 | 1 | 4 | 38:24 | 11 |
| ფინეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 34:39 | 10 |
| პოლონეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 22:64 | 4 |
| გდრ | 10 | 1 | 1 | 8 | 21:71 | 3 |

## ახალი ამბები-74

● რიგა, 21 აპრილი. მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატთა აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომლის მონაწილენიც ლატვიის მხატვართა კავშირის პრიზებს ეცილებოდნენ ერთმანეთს, ყველას აჯობა ასტრახანელმა ა. ზასუხინამ. თავის დაბადების დღეს ამ 22 წლის ქალიშვილმა სამჭიდში ნებისმიერი პროგრამით 28,6 ქულა დააგროვა. გამოცდილ სპორტსმენს ბოლო მომენტამდე ტოლს არ უდებდა 16 წლის კიეველი მოსწავლე ი. დერიუგინა, მაგრამ ბოლო ვარჯიშში მას მოულოდნელად ხელიდან გაუვარდა ლენტი და საბოლოოდ III ადგილზე დარჩა, წინ გაუშვა ასტრახანელი ე. ლეონტიევაც. რიგელმა მხატვრებმა და ჟურნალისტებმა დერიუგინას შეჯიბრებაში, რომელსაც „ხელოვნების რიტმები" ჰქვია, მიანიჭეს წოდება „მის გრაცია". ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ცნობილ ტანმოვარჯიშეებს სტავროპოლელმა მოსწავლემ ი. კირილენკომაც აჯობა (IV ადგილი). რიგელმა მხატვრებმა თავიანთი ნაწარმოებები უძღვნეს შეჯიბრების ყველა მონაწილეს.

● მინსკი, 21 აპრილი. „ბელორუსიის თასი", რომელსაც ყოველწლიურად ეცილებიან ერთმანეთს მოფარიკავე ქალთა გუნდები, 10 წლის მანძილზე პირველად მოიპოვეს იტალიელებმა. ფინალში მათ ანგარიშით 8:7 სძლიეს გფრ-ის რაპირისტებს. III ადგილზეა რუმინეთის გუნდი, ხოლო IV — ბელორუსიის კოლექტივი. ამჯერად თასისთვის მოსკოვის, ლენინგრადის, 13 მოკავშირე რესპუბლიკისა და უცხოეთის 11 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ.

● უჟგოროდი, 21 აპრილი. ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, საბჭოთა მარათონელები უკრაინის ამ კოხტა ქალაქში ხსნიან საზაფხულო სეზონს. ამჯერად საკავშირო შეჯიბრებაში ყველას აჯობა ლენინგრადელმა ა. მატვეევმა, რომელმაც 42 კმ და 195 მ 2 საათში, 16 წუთსა და 9 წამში გაირბინა. ფინიშთან მეორე იყო მინსკელი გ. ბუგროვი — 2:16.17. III ადგილი დაიკავა 10 კილომეტრზე რბენაში სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა, ლენინგრადელმა რ. შარაფეტდინოვმა — 2:16.58. 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში გაიმარჯვა მოსკოველმა ე. ლიუნგინმა — 3:58.15,4. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ლენინგრადელები ს. გრიგორიევი (4:00.20) და ს. ბონდარენკო (4:03.00). 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში საუკეთესო იყო გროდნოელი ე.ივჩენკო — 1:28.02.

● გალარატე (იტალია), 21 აპრილი. ჩეხოსლოვაკიის მოტოკროსმენმა ი. ფალტამ „250-ანების" კლასში მსოფლიო ჩემპიონატის აქ გამართული II ეტაპი მოიგო. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესოს, მოსკოველ გ. მოისეევს მოტოციკლი გაუტყდა და რბოლას გამოეთიშა. მეორე საბჭოთა მრბოლელს, კიეველ ე. რიბალჩენკოს საბოლოო ცხრილში 15 საჯარიმო ქულით V ადგილი უკავია (გამარჯვებულ ფალტას 2 ქულა აქვს).

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

### ინგლისი

გასულ შაბათს „ლიდს იუნაიტედმა" ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა: საკუთარ მინდორზე ანგარიშით 3:2 სძლია „იფსვიჩ თაუნს". ანგარიში ლიდსელმა ლორიმერმა გახსნა. შემდეგ მისმა თანაკლუბელმა ბრემნერმა მეორე ბურთი გაიტანა, მაგრამ სტუმრებმა შეძლეს ორივე გოლის გაქვითვა და ლიდსელმა კლარკმა მხოლოდ მატჩის მიწურულს გაიტანა გადამწყვეტი გოლი.

„ლივერპული" შინ შეხვდა „ევერტონს". შარშანდელი ჩემპიონი ბევრს ეცადა, მაგრამ „ევერტონის" მეკარემ ყველა ძნელი ბურთის მოგერიება შეძლო. მატჩი ფრედ (0:0) დამთავრდა და ახლა „ლივერპულს" I ადგილისთვის ბრძოლაში ნაკლები შანსი აქვს: მას მხოლოდ „ლიდს იუნაიტედის" უიღბლობა თუ უშველის.

„სტოკ სიტიმ" შინ მოუგო ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურს" — 1:0. ლონდონელები XIV ადგილზე არიან.

აი, ლიდერთა ოთხეულიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლიდს იუნაიტედი" | 40 | 63:29 | 58 |
| „ლივერპული" | 38 | 45:27 | 53 |
| „იფსვიჩ თაუნი" | 41 | 67:57 | 47 |
| „დერბი ქაუნთი" | 41 | 50:42 | 46 |

ძალიან დრამატულია ბრძოლა ცხრილის ქვედა ნაწილში, სადაც II ლიგაში დაბრუნების მეორე „ვაკანსიას" სამი გუნდი („მანჩესტერ იუნაიტედი", „ბირმინგემ სიტი", „საუთჰემპტონი") გაშმაგებით გაურბის. „ნორვიჩ სიტის" კი უკვე ხვდა ადგილი II ლიგაში.

| | | | |
|---|---|---|---|
| „საუთჰემპტონი" | 40 | 44:65 | 34 |
| „მანჩესტერ იუნაიტედი" | 39 | 38:45 | 32 |
| „ბირმინგემ სიტი" | 39 | 44:61 | 32 |
| „ნორვიჩ სიტი" | 39 | 35:56 | 28 |

### შოტლანდია

გასულ შაბათს გლაზგოს „სელტიკმა" შინ სძლია „აბერდინს" — 2:0. გოლები გაიტანეს დინსმა და ლენოქსმა.

„გლაზგო რეინჯერსმა" სტუმრად მოუგო „სენტ-ჯონსტონს" — 3:1. ედინბურგის „ჰიბერნიენმა" შინ ფრედ ითამაშა „დანფერმლაინ ატლეტიკთან" — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 29 | 74:24 | 47 |
| „გლაზგო რეინჯერსი" | 30 | 58:29 | 41 |
| „ჰიბერნიენი" | 28 | 61:39 | 38 |

### ჰოლანდია

ფინიშამდე მხოლოდ ოთხი ტური დარჩა, საქვეყნოდ ცნობილი ამსტერდამის „აიაქსი" კი ქულას ქულაზე კარგავს. ამჯერად მან სტუმრად წააგო I ლიგის ახალბედა „დე გრააფსხაფთან" — 0:1.

როტერდამის „ფეიენოორდმა" შინ მოუგო (3:0) „გრონინგენს", ხოლო ენსხედეს „ტვენტემ" ასევე თავის მინდორზე სძლია „ნიმეგენს" — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფეიენოორდი" | 30 | 66:25 | 50 |
| „ტვენტე" | 30 | 54:16 | 50 |
| „აიაქსი" | 30 | 64:27 | 47 |

### იტალია

რომის „ლაციომ" მოუგო „ვერონას" — 4:2. შარშანდელმა ჩემპიონმა — ტურინის „იუვენტუსმა" და „კალიარიმ" ფრედ ითამაშეს — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლაციო" | 25 | 40:19 | 37 |
| „იუვენტუსი" | 25 | 38:22 | 33 |
| „ფიორენტინა" | 25 | 30:20 | 31 |
| „ნაპოლი" | 25 | 29:22 | 31 |
| „ინტერი" | 25 | 38:25 | 29 |

### საფრანგეთი

გათამაშების XXXI ტურში „სენტ-ეტიენმა" თავის მინდორზე ფრედ ითამაშა „სედანთან" — 0:0. „ნანტისა" და „ნიცის" შეხვედრაც ფრედ დამთავრდა — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენტ-ეტიენი" | 31 | 55:36 | 50 |
| „ნანტი" | 30 | 48:29 | 47 |
| „ოლიმპიკი" (ლიონი) | 31 | 55:40 | 46 |

### ესპანეთი

გასულ კვირას ქვეყნის ჩემპიონმა „ბარსელონამ" საკუთარ მინდორზე მოუგო „ოვიედოს" — 6:2. ბარსელონელთაგან გოლები გაიტანეს მარსიალმა (2), პინომ, კრუიფმა, ასენსიმ და ხუან კარლოსმა.

„რეალ სარაგოსამ" შინ დაამარცხა მადრიდის „ატლეტიკო" — 4:0. მადრიდის „რეალმა" მოუგო ვიგოს „სელტას" — 6:1. ორ-ორი გოლი გაიტანეს მადრიდელებმა მასმა და მარანიონმა, თითო — აგილარმა და ნეცერმა. „რეალი" მხოლოდ VI ადგილზეა.

ბილბაოს „ატლეტიკომ" „ვალენსიას" სძლია — 1:0.

საუკეთესო სნაიპერია პინო („ბარსელონა") — 18 გოლი. მისი თანაკლუბელი კრუიფი 17 გოლით II ადგილზეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბარსელონა" | 31 | 74:21 | 48 |
| „ატლეტიკო" (მადრ.) | 31 | 45:24 | 36 |
| „რეალ სარაგოსა" | 31 | 48:37 | 36 |

### ავსტრია

25 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „სვაროვსკი-ვაკერი" (ინსბრუკი) | 24 | 48:16 | 36 |
| ფოესტ-ი (ლინცი) | 25 | 41:25 | 36 |
| „აუსტრია" (ვენა) | 25 | 48:24 | 34 |

### იუგოსლავია

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ" სტუმრად სძლია სკოპლეს „ვარდარს" — 3:1. მოსტარის „ველეჟმა" შინ აჯობა ბანია ლუკას „ბორაცს" — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ველეჟი" | 27 | 44:29 | 35 |
| „ცრვენა ზვეზდა" | 27 | 57:38 | 33 |
| „ჰაიდუკი" (სპლიტი) | 27 | 39:23 | 33 |

### უნგრეთი

ბუდაპეშტის „უიპეშტ დოჟამ" XXIII ტურში თავის სტადიონზე მოუგო სეკეშფეჰერვარის „ვიდეოტონს" — 1:0. ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა" სტუმრად ქულა დაკარგა „ედიეტერტეშთან" — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „უიპეშტ დოჟა" | 23 | 52:26 | 34 |
| „ფერენცვაროში" | 23 | 43:21 | 30 |
| „ვიდეოტონი" | 23 | 31:23 | 29 |

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

დღეს

თბილისის ა. ჯაფარიძის სახელობის ალპიურ კლუბში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია.

დასაწყისი 19 ს.

თბილისი
სპორტული
გაზაფხული

მოსწავლეთა
საქალაქო
სპარტაკიადა

**ქალათბურთი.** 28 აპრილი. კალინინის სახ. რაიონის სპორტსკოლის დარბაზი (ენგელსის ქ. № 50). უმცროსი ასაკის ბიჭების სარაიონო შეჯიბრებებში გამარჯვებული სკოლების გუნდების ასპარეზობა. 26 კომისრის სახ. რაიონის სპორტსკოლის დარბაზი (ბოჭორმის ქ. № 71). უმცროსი ასაკის გოგონების სარაიონო შეჯიბრებებში გამარჯვებული სკოლების გუნდების შეჯიბრება. დასაწყისი 15 ს.

**ფრენბურთი.** თბილისის სპორტკომიტეტის მოედნები (პლეხანოვის პრ. № 115). 28 აპრილი. საშუალო ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდების ფინალური შეხვედრები, დასაწყისი 15 ს.

**ჭადრაკი.** „ბურევესტნიკის" საჭადრაკო კლუბი. 28 აპრილი. გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 15 ს. 30 წთ.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02557